# ინგლისურის მასწავლებელი
დოკუმენტური ფილმი
56'
2012 წელი




რეჟისორები:
ნინო ორჯონიკიძე
ვანო არსენიშვილი

კონტაქტი:

ნინო ორჯონიკიძე
რეჟისორი, პროდიუსერი
მობ: (995 599) 987 977
e-mail: nino@artefact.ge
artefact.ge

ვანო არსენიშვილი
რეჟისორი, ოპერატორი
მობ : (995 599) 466383
E-mail : vano@artefact.ge
artefact.ge



*მოკლე სინოფსისი*

ახალგაზრდა “ინგლისურის მასწავლებელი” ტრადიციულ ქართულ სოფელში “ლინგვისტური რევოლუციის” მოსახდენად ჩამოდის. ეს ფილმი დიდი ცვლილებების მოლოდინში მყოფი პატარა სოფლის ისტორიას მოგვითხრობს.

ფილმი გადაღებულია სოფელ საჯიჯაოში (ხობის რაიონი), 2011 წელს.


*პროექტი განვითარებულია IDFAcademy 2011–ის ფარგლებში (ამსტერდამი).*

*ფილმი გადაღებულია საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით.*


Georgian National Film Center
საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ARTEFACT PRODUCTION

**რეჟისორის მოტივაცია:**

**უცვლელი ადამიანების ისტორიები ცვალებად დროში – ეს არის თემა, რომელსაც ყოველი ახალი ფილმით ვუბრუნდებით. ამ თემის ირგვლივ ტრიალებს "ინგლისურის მასწავლებელიც."**

რამდენად შესაძლებელია ცვლილებები იქ, სადაც ეს ცვლილებები რეალურად არ უნდათ?
რა ხდება მაშინ, როცა სტუმარი მასპინძლის ტერიტორიაზე წესების შეცვლას იწყებს... მითუმეტეს, თუ სტუმარ-მასპინძელი სხვადასხვა ენაზე საუბრობენ?

ამ კითხვების ირგვლივ ვითარდება გადამღები ჯგუფის მოგზაურობა "ინგლისურის მასწავლებლთან" ერთად.

ერთი შეხედვით ეს მოგზაურობა "უცხოელი" გმირის "ქართული გამოწვევაა", თუმცა მეორეს მხრივ თავად გმირი არის გამოწვევა სოციუმისთვის, რომელიც "განსხვავებულთან" მიმართებაში თავისი დამოკიდებულების განსაზღვრას ცდილობს. სწორედ ამ სოციუმის კვლევა წარმოადგენს ჩვენი ინტერესის საგანს.
"სტუმრის" ფენომენი უმნიშვნელოვანესი ელემენტია ეროვნული იდენტობის განსაზღვრისას. სწორედ ამიტომაც მიგვაჩნია, რომ "უცხოს" მოგზაურობის ფაბულის გამოყენება ჩვენს სოციუმზე საინტერესო დაკვირვებისა და აღმოჩენების გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

ამბივალენტური დამოკიდებულება ახლისა და უცხოს მიმართ: აღტაცება და გადაჭარბებული პატივისცემა ერთის მხრივ, ჩაკეტილობა და მიუღებლობა მეორეს მხრივ. ვფიქრობ, ეს საინტერესო პროცესია კინემატოგრაფიული დაკვირვებისთვის და ჩვენი ბუნების საინტერესო დეტალებს წარმოაჩენს.

ასევე, გვაინტერესებდა დაკვირვება იმ პროცესზე, რომელიც განათლების სისტემასა და სკოლაში მიმდინარეობს. ეს სისტემა დღეს საკმაოდ დახურულია. პროექტმა მოგვცა უნიკალური საშუალება გადაგვეღო ქართული სკოლა სოფელში, გვენახა რა გავლენა აქვს სოფელზე ცენტრის მასშტაბურ პოლიტიკურ გეგმებსა და პერმანენტულ საგანმანათლებლო ექსპერიმენტებს. დიდი პოლიტიკის ანარეკლს პატარა სოფელში ხშირად ტრაგიკომიკური ელფერი დაკრავს.

ARTEFACT
PRODUCTION



*ნინო ორჯონიკიძე - რეჟისორი, პროდიუსერი*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტისა და ლონდონის უნივერსიტეტის, გოლდსმის კოლეჯის (მაგისტრის ხარისხი) დამთავრების შემდეგ, ნინო მუშაობდა ჯერ რეპორტიორად ტელეკომპანია “რუსთავი 2”–ში, შემდგომში კი დოკუმენტური ფილმების პროდიუსერად და რეჟისორად “რუსთავი 2”–სა და “ინტერნიუსში”.

2008 წელს დააფუძნა საპროდუქციო კომპანია “არტეფაქტ პროდაქშენი”, რომელიც აწარმოებს დოკუმენტურ ფილმებს. ნინო ასევე კითხულობს ლექციებს დოკუმენტურ ფილმის წარმოებასა და ტელეჟურნალისტიკაში ჟურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის კავკასიური სკოლის (ჯიპა) ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე.

ფილმოგრაფია: (ავტორი, პროდიუსერი, თანარეჟისორი)

- “ინგლისურის მასწავლებელი” 2012
- “ალცნეი” 2009

ნომინაციები: DOK Leipzig / International competition, Germany 2009; Jean Rouch Internarional film festival/International competition, France, 2010; 50th Krakow Film Festival / International.competition 2010; Festival Les Ecrans documentaires, France 2009; Edinburgh, UK, Beyond Borders 2010

პრიზი: Film Festival della Lessinia, Italy 2010

- “ხიდი” 2005
- “აზილანტები” 2004
- დოკუმენტური ფილმების ციკლი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე (7 სერია), 2002–2003



*ვანო არსენიშვილი - რეჟისორი, ოპერატორი*

დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტი ანიმაციის რეჟისორის სპეციალობით და ვენის კინოაკადემია კინორეჟისორის სპეციალობით (მიხაელ ჰანეკეს ჯგუფი). მუშაობდა სტუდია “კვალში”, ასევე “რუსთავი 2” სა და “ინტერნიუსში” რეჟისორად, არის რამდენიმე დოკუმენტური ფილმის ავტორი. 2008 წელს დააფუძნა საპროდიუსერო კომპანია „არტეფაქტ პროდაქშენი“, რომელიც აწარმოებს დოკუმენტურ ფილმებს. არის სხვადასხვა მედია პროექტის კონსულტანტი და პედაგოგი.

ფილმოგრაფია: (ავტორი, თანარეჟისორი, ოპერატორი, მემონტაჟე)

- “ინგლისურის მასწავლებელი” 2012
- “ალცნეი” 2009

ნომინაციები: DOK Leipzig / International competition, Germany 2009; Jean Rouch Internarional film festival/International competition, France, 2010; 50th Krakow Film Festival / International.competition 2010; Festival Les Ecrans documentaires, France 2009; Edinburgh, UK, Beyond Borders 2010

პრიზი: Film Festival della Lessinia, Italy 2010

- “ხიდი” 2005
- “აზილანტები” 2004
- დოკუმენტური ფილმების ციკლი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე (7 სერია), 2002–2003
- “ველო ოდისეა” 2002

პრესა:

"შეუსრულებელი მისია 2" /ცხელი შოკოლადი

"თოჯინები იცინიან" / რადიო თავისუფლება

"რეალობის პირისპირ, რეალობასთან ერთად - ახალი ქართული დოკუმენტური კინო" /ნეტგაზეთი

თეო ხატიაშვილი "ინგლისურის მასწავლებელზე" / ცხელი შოკოლადის ინტერვიუ
ლაშა ბაქრაძე "ინგლისურის მასწავლებელზე" / ცხელი შოკოლადის ინტერვიუ
დავით ბუხრიკიძე/კვირის აზრები/მაესტრო TV

არტ ჰაუსი/რადიო 'ცხელი შოკოლადი'

ფესტივალები/ფორუმები:

Tbilisi Film Festival 2012
East Silver Project Market 2013
BIAFF 2013
KINO – Festival des films de Russie et d'ailleurs | Genève Lausanne 2013

CineDoc 2013

ARTEFACT PRODUCTION